



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 30-302306970
თარიღი: 10/03/2023

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2023 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ;

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა განიხილა ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის მოხსენებითი ბარათი ქ.ლანჩხუთში ცენტრალურ მოედანზე არსებულ წრიულზე მდებარე საათის დემონტაჟისა და მის ადგილზე სახელმწიფო დროშის აღსამართად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით 25000 ლარის გამოყოფის და ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დამატებით 25000 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება განხორციელდეს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის 50000 ლარით შემცირების ხარჯზე, იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმი განვითარების ხელშეწყობის ღონისძიების დაფინანსება განხორციელდება მიმდინარე წლის II-კვარტლიდან და დაფინანსება განისაზღვრება 150000 ლარით.

აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით დაიწყო ბიუჯეტის ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2023 წლის მარტი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 01.01.2023, სარ. კოდი: 190020020.35.112.016503) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე-10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე-11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე-12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2023-2026 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე-13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის მარტი

ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2023 წლის ----- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 599 266 130).